

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ო ქ მ ო №11

ქ. თბილისი,

29 იანვარი, 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. საბჭოს თავმჯდომარე: ჯ. ძაგანია –რექტორი, პროფესორი.
2. საბჭოს მდივანი: ნ. ქოჩაკიძე – პროფესორი.
3. გ. ზუბიტაშვილი – პროფესორი.
4. დ. ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი.
5. ე. ფეროიანი – ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. დეკანების ანგარიშები ზამთრის სესიების მიმდინარეობისა და სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის დაფარვასთან დაკავშირებით. (ტ. გულბიანი, გ. ფარულავა).
2. მეთოდური საბჭოს შექმნა და დამტკიცება (ჯ. ძაგანია).
3. პროფ. ზ. ზალდასტანიშვილისა და შ. ბუაძის ემერეტუსის წოდების მინიჭების შესახებ (ჯ. ძაგანია).
4. მობილობის მიმდინარეობის შესახებ (მ. მნათობიშვილი).
5. 2015–2016 სასწავლო წლის მე–2 სემესტრის აკადემიური პერსონალის დამტკიცება (ჯ. ძაგანია).
6. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფ. ტ. გულბიანის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეკანის პროფ. გ. ფარულავას ანგარიში ზამთრის სესიების მიმდინარეობისა და სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის დაფარვასთან დაკავშირებით. ანგარიში თან ერთვის ოქმს (დანართი 1, დანართი 2).

დაადგინეს: მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფ. ტ. გულბიანის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. ფარულავას მიერ წარმოდგენილი ანგარიში, 2015/2016 სასწავლო წლის ზამთრის სესიების მიმდინარეობისა და სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით მიღებულ იქნას ცნობად.

დეკანებისა და დეკანატების მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

მოისმინეს: რექტორის პროფ. ჯ. ძაგანიას წინადადება მეთოდური საბჭოს შექმნის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე სტანდარტების ახალი სახელმძღვანელოების და სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციების შექმნის და დაბეჭდვის პროცესს აუცილებლად სჭირდება უმაღლეს სასწავლებელში მეთოდური საბჭოს არსებობა.

დაადგინეს: უნივერსიტეტში ასოც. პროფ. დ. ხაჩიძის ხელმძღვანელობით შეიქმნას მეთოდური საბჭო და მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან პროფ. ჯ. ზალდასტანიშვილი და პროფ. მ. ტუღუში. საჭიროების შემთხვევაში მეთოდური საბჭო გაძლიერდეს შესაბამისი დარგის დროებით მოწვეული სპეციალისტებით.

მოისმინეს: პროფ. ჯ. ზალდასტანიშვილის და პროფ. შ. ბუაძის ემერეტუსის წოდების მინიჭების შესახებ საკითხი დააყენა რექტორმა პროფ. ჯ. ძაგანიამ. მან საბჭოს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2016 წლის 13 იანვარს დამტკიცებული წესი ემერიტუსის მინიჭების შესახებ, შემდეგ ისაუბრა ემერეტუსის კანდიდატების პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე და მათ დიდ ღვაწლზე პროფესიონალი კადრების მომზადების საქმეში.

გამომსვლელებმა: ნ. ქოჩაკიძემ, ე. ფეროიანმა აღნიშნეს მათი ღვაწლი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში.

ჩატარდა ღია კენჭის ყრა. მომხრე-5, წინააღმდეგი-0, თავი შეიკავა -0 კენჭისყრის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ დააგინა: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2016 წლის 13 იანვარს დამტკიცებული წესის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N5) პროფ. ჯ. საფუძველზე ( წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N5) პროფ. ჯ. ზალდასტანიშვილს და პროფ. შ. ბუაძეს მიენიჭოს ემერეტუსის წოდება. ამასთან, ზალდასტანიშვილს და პროფ. შ. ბუაძეს მიენიჭოს ემერეტუსის წოდება. ამასთან, მათ მიენიჭათ უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის წოდება და შეტანილ იქნენ სპორტის უნივერსიტეტის „დამსახურებული პროფესორების წიგნში“.

**მოისმინეს:** მობილობის მიმდინარეობის შესახებ საბჭოს ინფორმაცია გააცნო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა პროფ. მ. მნათობიშვილმა. თან ერთვის ოქმს (დანართი #4).

**დაადგინეს:** მობილობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

**მოისმინეს:** 2015/2016 სასწავლო წლის II სემესტრის აკადემიური პერსონალის შესახებ საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა ჯ. ძაგანიამ. მან აღნიშნა სასწავლო პროცესიდან გამომდინარე: ახალი სასწავლო დისციპლინების წარსამართავად საჭიროა ახალი აკადემიური თანამდებობებისა და საშტატო ერთეულების დამტკიცება.

**დაადგინეს:** 2015-2016 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სათვის აკადემიურ პერსონალს დამატებულ იქნან:

1. მოისწრაფიშვილი კარლო – პროფესორი;
2. მურვანიძე ელისო – ასოცირებული პროფესორი;
3. კორინთელი ელზა – ასოცირებული პროფესორი;
4. გიორგობიანი მარინა – ასოცირებული პროფესორი;
5. ბურჯალიანი არსენ – ასისტენტ პროფესორი;
6. წულაძე გელა – ხარისხის გარეშე; (საათობრივზე მოწვეული)
7. ბოჟაძე ვლადიმერ – ხარისხის გარეშე; (საათობრივზე მოწვეული)
8. მაღლაკელიძე მამუკა – ხარისხის გარეშე; (საათობრივზე მოწვეული)
9. ბერიძე ქეთევან – ასოცირებული პროფესორი;
10. თხელიძე მერაბ – ასოცირებული პროფესორი.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი:

ჯემალ ძაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი:

ნინო ქოჩავიძე

